# ნაციონალისტი

შაბათი ოქტომბრის 30 1920 წ. მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანო. № 26 ფასი 10 მან.

**მისამართი:** რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66. რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

**ხელის მოწერა:** წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით). ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

**განცხადებანი:** მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე — 20 მან. მ-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.


## ნაციონალური პარტიის კონფერენციის ოქმები

### სხდომა პირველი

23 ოქტომბერი 1920 წ.

ნაციონალური პარტიის პირველი კონფერენცია გაიხსნა 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისის ქალაქის საბჭოში. მანდატებით წარმოდგენილი იყო პროვინციიდან (ყველა მაზრებიდან) და თბილისიდან 100 დელეგატი, რომელთაგანაც კონფერენციის გახსნის დროს გამოცხადებული იყო 80 დელეგატი.

კონფერენცია გახსნა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ გრ. ვეშაპელმა.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: მთავ. კომიტ. ძველი პრეზიდიუმი: თავმჯდომარე გრიგოლ ვეშაპელი, თავმჯდომარის ამხანაგები: შალვა ქარუმიძე, დავით ვაჩნაძე და ახალი: გიორგი წინამძღვარიშვილი, ნესტორ მალაღაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე კაპანელი. მდივნად არჩეულ იქმნა მთავ. კომიტეტის მდივანი მიხეილ იშხნელი.

სეკრეტარიატში პრეზიდიუმის მიერ მოწვეულ იქმნენ: გ. ლეონიძე, ვ. ცხადაძე და მ. ვეშაპიძე.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობს გრ. ვეშაპელი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მათი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდის სახელით კონფერენციას მიესალმა დეკ. იასონ კაპანაძე. კონფერენცია მხურვალე ტაშით მიეგება მის სიტყვას (რომელიც ცალკე იქნება დაბეჭდილი) და დაადგინა პრეზიდიუმის პირით ღრმესი მადლობა გადაეცეს მათ უწმინდესობას.

ამის შემდეგ კონფერენცია გადადის დღიური წესრიგის განხილვისაკენ.

მოსმენილ იქმნა და დამტკიცდა შემდეგი წესრიგი:

I. მოხსენებანი პოლიტიკურ მომენტსა და ტაქტიკაზე (1. საქართველოს საგარეო პოლიტიკა 2. საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა 3. ჩვენი პარტიის ოპოზიცია).

II. მთავარი კომიტეტისა და ფრაქციის მოხსენებანი.

III. დელეგატთა მოხსენებანი პროვინციიდან.

IV. პროგრამის განხილვა და დამტკიცება.

V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა.

მოხსენებელი პირველ საკითხზე საქართველოს საგარეო პოლიტიკა) არის დამფ. კრების წევრი გრ. ვეშაპელი. ტეზისები მისი მოხსენებისა (რომელიც ცალკე იქნება დაბეჭდილი) არის შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა რეალური ნაციონალური პოლიტიკის წარმოება და ევროპის სახელმწიფოებთან შეკავშირება ხალხთა ლიგის საშუალებით; საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ამას თავისი სოციალისტური და ინტერნაციონალური ტაქტიკის გამო; ამისათვის საჭიროა ჩვენი პარტია ოპოზიციაში უდგეს მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

მომხსენებელი მეორე საკითხზე (საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა) არის დამფ. კრ. წევრი შალ. ქარუმიძე: ტეზისი მისი მოხსენებისა (რომელიც ცალკე იქნება დაბეჭდილი) არის შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ეკონომიურად საჭიროა სოფლის საწარმოო ძალების შესაფერი სამეურნეო პოლიტიკა. რასაც ჩვენი მთავრობა ეწინააღმდეგება, რადგან იგი იცავს ქალაქის და კერძოდ პროლეტარიატის ინტერესებს და ამან მიგვიყვანა დღევანდელ ეკონომიურ კრიზისამდე.

მომხსენებელი მესამე საკითხზე (ჩვენი პარტიის ოპოზიცია) არის დავით ვაჩნაძე. ტეზისი მისი მოხსენებისა (რომელიც ცალკე იქნება დაბეჭდილი) არის შემდეგი: ჩვენმა პარტიამ უნდა განაგრძოს მტკიცედ ის ოპოზიციური ტაქტიკა, რომელსაც ვაწარმოებდით დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა.

სამივე მოხსენების შესახებ მიცემულ იქნა შეკითხვები და შემდეგ გაიმართა საზოგადო კამათი, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა რევაზ გაბაშვილმა, მიხეილ მაჩაბელმა, კ. სვიმონიშვილმა. დ. ლოლობერიძემ, ი. ჭანიამ და დეკანოზმა ი. ქავჟარაძემ, რომლის სიტყვამ (ცალკე იქნება დაბეჭდილი) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

მომხსენებელთა საპასუხო სიტყვების შემდეგ კონფერენციამ დაადგინა ტეზისებისა და რეზოლუციების პროექტების განხილვისა და საბოლოო რედაქციისათვის შესდგეს საგანგებო კომისია, რომელშიც შევიდნენ კონფერენციის პრეზიდიუმის 3 წევრი: რევაზ გაბაშვილი, გიორგი ამირეჯიბი და სარგის კაკაბაძე.

ამით დასრულდა კონფერენციის პირველი სხდომა (12 ს.)

## სტატისტიკის გაერთიანებისათვის

ორ წელ ნახევარია ერთ ნულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ამ შენების პროცესში სავსებით განვიცადეთ მთელი სიძნელე სახელმწიფოს შემოქმედებითი მუშაობისა; და ეს სიძნელე მეტის სიცხადით აშკარავდება უფრო მაშინ, როდესაც შემოქმედის ხელი ეხება სახელმწიფოს ეკონომიურ მხარეს. შედარებით ადვილი იყო ძველი პოლიტიკური ფორმების დამსხვრევა, ძნელი არ იყო აგრეთვე უკანასკნელის ადგილზედ ახალი პოლიტიკური ფორმების ჩამოსხმა; მაგრამ ადვილი საქმე არ ყოფილა ეკონომიური ცხოვრების გაძღოლა და მისი სასურველ კალაპოტში ჩაყენება. თუ მართალია ის დებულება, რომ სახელმწიფო — ეკონომიურ ასპარეზზედ გამარჯვებული: ძლიერია პოლიტიკურად და მილიტარულადაც, მართალი უნდა იყოს ისიც, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში გამარჯვებული იქნება ის, ვინც ამ ცხოვრების და მის მის მამოძრავებელ კანონებს იცნობს, ვისაც ზედმიწევნით შესწავლილი აქვს სოციალ-ეკონომიური ვითარება ხალხისა; ხოლო ეს უკანასკნელი კი მისაღწევია მისთვის, ვინც უკეთ არის შეიარაღებული მოცემული საგნის შემსწავლელ მეცნიერულ საშუალებით. ალარავისთვის საიდუმლო არ არის რომ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის და საზოგადოებრივ მოვლენებს ჰქმნის და ამოძრავებს ზოგადი კანონები, რომ ამ სფეროშიც მოქმედებს მიზეზ-შედეგის კანონი და თითქმის ისეთივე გარდუვალობით, როგორც ეს გარეშე ბუნებაში. მაშასადამე, საზოგადოებრივ მოვლენებსაც, სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების თვითეულ კუნჭულსაც კი ისეთივე მეთოდიური და ზედმიწევნითი შესწავლა და გაშუქება უნდა, როგორც ეს ფიზიკურ ბუნებაში ხდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში თუ საკითხს ადვილად სწყვეტს უბრალო ცდა საზოგადოებრივი მოვლენების შესასწავლად საჭიროა მრავალ-წლობის სისტემატური და ამასთანავე მასიური დაკვირვება.

ამ დანიშნულებას ემსახურება სტატისტიკა.

ზედმეტია ლაპარაკი სტატისტიკის მნიშვნელობაზედ, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ კრიზისს განიცდის და საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი კარგად უნდა გრძნობდეს, რომ უმთავრესი მიზეზი ჩვენი უძლურებისა ეკონომიურ ცხოვრებასთან ბრძოლაში ის არის, რომ ჩვენ ვერ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ავლადიდებას; მაგრამ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სტატისტიკა ჩვენში არ არის შესაფერ სიმაღლეზედ დაყენებული, არ არის მასზედ სათანადო ყურადღება მიპყრობილი და წარმოიდგინეთ ზოგიერ პასუხისმგებელ მმართველთაგან იგი ზედმეტ ბარგადაც არის მიჩნეული. მართალია ჩვენში სტატისტიკა, ჯერ მხოლოდ ჩანასახშია, იგი ახალი საქმეა და შეიძლება ითქვას ახალი სიტყვაც არის და ეხლავე ვერ მოვთხოვთ მას დღევის ნაბიჯით სვლას, მაგრამ სწორედ მის ასეთ მდგომარეობიდან იბადება საჭიროება, რომ იგი ზედმეტ ყურადღების, მეტი მზრუნველობის და დაკვირვების საგნად იყოს აღიარებული მთავრობის თუ საზოგადოების მიერ. უპირველესი მოთხოვნილება კი სტატისტიკის მიმართ ამ ჟამად ის არის, რომ მისი ორგანიზაცია, მთელი სისტემა ორგანიზაციის და შინაგანი ბუნება ორგანიზაციის სავსებით შეფარდებული და შესისხლხორცებული იყოს ეროვნულ ნიადაგთან. ეროვნული სახელმწიფოს აპარატის რაციონალურად მოწყობის მთელი ღირსება იმაში გამოიხატება, რომ ყოველი უმნიშვნელო ნაწილიც კი სახელმწიფოს რთული მექანიზმისა მეთანხმებული იყოს იგი შინაგან ბუნებასთან, ეროვნულ ნიადაგთან.

თუ ეს ასეა ყველგან, სტატისტიკურ კვლევა-ძიების საქმეში და სტატისტიკის ორგანიზაციაში ეს მოთხოვნილება გარდუვალი უნდა იყოს, რადგან ობიექტი სტატისტიკის კვლევა-ძიებისა თვითეულია, თავისისი ინდივიდუალური მრავალსახეობით, მთელი თავისი ინტელექტუალური და მატერიალური შინაარსით და გარეშე ეროვნულისა სტატისტიკას საქმე არა აქვს.

სტატისტიკა ერთის შეხედვით თითქოს მშრალი მეცნიერებაა, მშრალ ციფრებით მოლაპარაკე და ობიექტურ სინამდვილის აღმნუსხველი, მაგრამ სტატისტიკურ მუშაობაში დიდ როლს თამაშობს სუბიექტიური ელემენტი და მეტსაც ვიტყვი, თუ თანამედროვე ხანაშიც ზოგიერ საზოგადოებრივ საკითხების გადასაჭრელად სტატისტიკა უძლური ხდება ეს იმიტომ, რომ იგი ბევრჯერ საშუალებას მოკლებულია სძლიოს საზოგადოების, როგორც მთლიანის, და თვითეულ ინდივიდის, ცალ-ცალკე, სუბიექტურ წინააღმდეგობით, და თუ ეს უკანასკნელი სტატისტიკის მიერ გადალახული იქნება, მაშინ სტატისტიკა თავის ასპარეზზედ უშიშრად და თავისუფლად იმოქმედებს. ცხადია, რომ სტატისტიკურ ასპარეზზედ მომუშავეთათვის საკმარისი არ არის მხოლოდ თეორიულს ცოდნა და ტეხნიკური გამოცდილება, არამედ ამასთან ერთად უპირველესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ადგილობრივი პირობების, საზოგადოების ხასიათისზნეჩვეულების, სულისკვეთების და მთელი მისი შინაგანი ბუნების ზედმიწევნით ცოდნას. უამისოდ, მხოლოდ პირველი ორი პირობით მიზანი მიუწეველი დარჩება და ვერასოდეს სწორი ნაბიჯი ვერ იქნება გადადგმული. ვიმეორებ, სტატისტიკის ეროვნულ ნიადაგზედ მოწყობა აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს გაეროვნება საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებაა ყველა დარგში, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ თვით სტატისტიკის ბუნება, როგორც მეცნიერებისა და პრაქტიკული ხასიათის საგნისა, მისი დანიშნულება და შესწავლის ობიექტი აუცილებლივ გულისხმობს მას.

რა მდგომარეობაშია დღეს ამ მხრივ ჩვენი სტატისტიკა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

**სომხეთის ფრონტზე, იგდირის რაიონში გრძელდება ბრძოლა ოსმალებთან.**

---

**მიუხედავათ პოლონეთის ზავის პეტლიურას ჯარი საფრანგეთის დახმარებით განაგრძობს ომს ბოლშევიკებთან უკრაინაში.**

---

დიდ საყვედურს საერთოდ ვერ გამოუცხადებთ მას, რადგან იგი სულ ახალი საქმეა, მაგრამ ხსენებული მოთხოვნილება კი თითქმის ყველგან, სადაც კი დაიწყეს სტატისტიკურ ორგანიზაციების მოწყობა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მიივიწყებულია. ხელმძღვანელებად და პასუხისმგებელ მომუშავეებად თითქმის ყველგან ქართულის არ მცოდნე-და ადგილობრივ პირობების და ქართველი ერის ნაციონალურ თვისებების ნაკლებად მცოდნე ხალხია; ყველგან კანცელარიული და მრავალსაფეხურიანი სისტემაა გამეფებული: მუშაობის პროგრამები და გეგმები, ინსტრუქციები, ყოველგვარი სასტატისტიკო—საანკეტო ფურცლები სდგება დავათ მავდება რუსულად რაც ყოვლად მოკლე შევებულია უკანასკნელისთვის მაინც და შემდეგ ითარგმნება ქართულად; შეგროვილი სტატისტიკური მასალა (ქართული) ითარგმნება რუსულად, რათა შესაძლებელი იყოს მისი დამუშავება არა ქართული ძალებით; ამის შემდეგ მხოლოდ მუშავდება იგი რუსულად და ბოლოს ამ წესით დამუშავებული მასალა გამოსაქვეყნებლად და დანიშნულებისამებრ გადასაცემად ითარგმნება ისევ რუსულად.

აი, ქრისტეს ტანჯვას რომ იტყვიან სწორედ ეს არის.

თუმცა მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ სპეციალისტები ამ საქმეში ძალიან ნაკლებად გვყავს, მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვაც შეიძლებოდა, თუ მტკიცეთ გვექნებოდა შეგნებული, რომ სტატისტიკის პირველიდანვე უცხო ნიადაგზედ მოწყობა დაუშვებელია. კიდევ შეიძლებოდა გამართლება ამ მდგომარეობისა მაშინ, რომ სტატისტიკური ორგანიზაციები ძველადაც ყოფილიყო და მათი გარდაქმნა სასურველი სისწრაფით ვერ მომხდარიყო, მაგრამ როგორ შეიძლება თავის მართლება მაშინ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივ განახლებამდე არც ერთი, აწ არსებული, სტატისტიკური ორგანიზაცია არ ყოფილა და დღეს ახლად ვაშენებთ იმიტომ, რომ ხვალ, როდესაც ცხოვრების იძულებულს გაგვხდის, ისევ დავანგრიოთ და თავის ბუნებრივ ნიადაგზე მოვაწყოთ.

ჩვენი სტატისტიკის მომავალი თვითმართველობებმა უნდა შექმნან: საერობო და საქალაქო თვითმართველობებია პირველი წყარო და საფუძველი საქმიანი სტატისტიკისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებული უკუღმართობა აქაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა მომეტებულ მათგანში, სადაც კი სტატისტიკურ ორგანიზაციის მოწყობა უცდიათ.

უფრო მეტად სამწუხარო და არა ნორმალურ მდგომარეობაშია რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი. ეს დაწესებულება დედა ძარღვი უნდა იყოს და ტონის მიმცემი მთელი სტატისტიკური საქმიანობისა რესპუბლიკაში; მის გარშემო უნდა იყრიდეს თავს და მისგან იღებდეს საზრდოს ყველა სტატისტიკური ორგანიზაციები სახელმწიფოში. ნუ დაგვავიწყდება, რომ სტატისტიკის საქმე ჩვენში განსაკუთრებულ მდგომარეობაშია: არა გვაქვს შექმნილი ტრადიცია, არ გვქონია შველა, სისტემა; ამას ისიც დაუმატეთ, რომ სრულებით არ არის დამუშავებული სპეციალური ტერმინოლოგია; ყველაფერ ამას შექმნა უნდა; და ამ მიზნების მატარებელი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი; იგი უნდა იყოს ჩვენი სტატისტიკისათვის აკადემია, მეცნიერულ და ტეხნიკურ ძალთა ცენტრი, ვიდრე საქართველოში სტატისტიკური ინსტიტუტი გაიხსნებოდეს.

მაგრამ კომიტეტს, დღევანდელი თავისი შემადგენლობით, შინაგანი ორგანიზაცია და მუშაობის სისტემით არ ძალუძს ამ დანიშნულების შესრულება; და არ ძალუძს უმთავრესად იმიტომ, რომ იგი ანტი ეროვნულია, სრულებით არა აქვს ეროვნული სახე, არ სდევს ეროვნული ელფერი, აქისდა მიუხედავად, რომ მას შეიძლება ჰქონდეს გულ რფელი სურვილი და დიდი მისწრაფებაც ხსენებულ მიზნისაკენ. კომიტეტის მთელი შემდგენლობის თითქმის 95 პროც. ქართულის არ მცოდნეა. აქ ზედმეტად მიმაჩნია ჩამოვთვალო ის უარყოფითი შედეგები, რომელსაც ჰქმნის ასეთი გარემოება, რადგან ვინც კი გაცნობილია სტატისტიკის საქმეს კარგად იცის, თუ რას ნიშნავს უცხო პირის მიერ უცხო ენაზედ შედგენილ სტატისტიკური ბლანკების გადმოქართულება, ან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან შეკრებილი მრავალფეროვან სტატისტიკურ მასალის კონტროლი და დამუშავება უცხოთაგან და სხვა. და ყველა ეს იმ დროს, როდესაც ფეხ ადგმული ადგილობრივი სტატისტიკურ ორგანიზაციები კომიტეტისაგან ელიან იდეურ ხელმძღვანელობას და მეცნიერულ საზრდოს.

აქ არ შევეხებით საკითხს საერთოდ სტატისტიკის ცენტრალიზაციის შესახებ და თვით ცენტრალურ კომიტეტის დებულებას, მის კონსტრუკციას, რომელიც, უეჭველია, არ შეეფერება არსებულ მდგომარეობას და ჩვენი ცხოვრების პირობებს. ამას შემდეგ.

ამ წერილში კი გვინდოდა აღგვენიშნა მხოლოდ ერთი უარყოფითი მხარე, საერთო ნაკლი, რომლითაც ხასიათდება დღევანდელი ჩვენი სტატისტიკა—ეს არის მისი ანტიეროვნული ფიზიონომია რასაც ამ დარგისთვის და მის უმეტეს მისი დღევანდელი მდგომარეობის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს ნაკლი ეხლავე უნდა გამოსწორდეს, ვიდრე ჯერ კიდევ დრო არის, თუ გვინდა სტატისტიკა, და მისი აღორძინება, იგი თავიდანვე უნდა მოეწყოს ბუნებრივ ნიადაგზედ, ეროვნულ ფუძეზედ. აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი მთავრობის, განსაკუთრებით ერობათა და ქალაქთა თვითმართველობის და უპირველეს ყოვლისა კი ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს ყურადღება. კმარა, სხვის ხელში შეყურება და სხვის იმედით თავის მოტყუილება. (ამის საუკეთესო ნიმუშს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარის ბ-ნ მანდელშტამის მაგალითია).

მეტი მზრუნველობა სტატისტიკას.

რედიკალური ზომები მისი გაეროვნებისათვის.

მ. ჩაუქიძე.

---

# დეპეშები

**ეროვნულ დავდაცვის უმაღლეს საბჭოს კრება**

ეროვნულ თავდაცვის უმაღლეს საბჭოს ოთხშაბათის სხდომის შემდეგ პრესისათვის არავითარ ოფიციალური ცნობა არ გადაუციათ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამხედრო ბეგრის შესახებ საბჭოს არავითარი დადგენილება არ გამოუტანია.

**დუნაის სახელმწიფოთა კონფერენცია**

დუნაის სახელმწიფოთა კონფერენცია ოქტ. 27 შესდგა. იმსჯელეს ნავთსადგურთ. შორის მიმოსვლის შესახებ. ამ საკითხის გადატანა შემდეგი სხდომისათვის გადასწყვეს. კონფერენციამ იმსჯელა აგრეთვე თავისუფალ ნავთსადგურებსა და ზონებზე. მეორე სხდომა ოქტომბრის 9 შესდგება.

**საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე**

საბერძნეთის მთავრობის ინსტრუქციის თანახმად საბერძნეთის ელჩმა პრინც პავლეს თანაგრძნობა განუცხადა და გადაწყდა რომ ტახტი მან უნდა დაიკავოს.

**მემადნეოთა გაფიცვა ინგლისში**

„პტი პარიზიენი" სწერს: ქვანახშირის წარმოების კრიზისი გრძელდება. მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ შეთანხმების შესახებ უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ თქმულა.

**ბოლშევიკური პროპაგანდა ესტონიაში**

პარიზი. „ტანი" იუწყება: ესტონეთის მთავრობამ გამოარკვია, რომ მოსკოვიდან ესტონეთში გაუგზავნიათ 100-ზე მეტი ფარული აგენტი, რომლებმაც ესტონეთში ბოლშევიკური გადატრიალება უნდა მოახდინონ. ყოველი აგენტი თვეში იღებს 12,000-ს ტონურ მარკას. ამ უკანასკნელ ხანებში გაფიცულმა რკინის გზელებმა ბოლშევიკების აგენტებიდან მიიღეს მნიშვნელოვანი დახმარება ფულით და ისინი ყოველ მხრივ სცდილობდა არა თუ მარტო ხელი შეეწყოთ გაფიცულთათვის, არამედ სისხლის მღვრელი შეტაკებებიც კი გამოეწვიათ.

**გერმანიის ეროვნული პარტიის ყრილობა**

ჰანოვერში დასრულდა გერმანიის ეროვნული პარტიის ყრილობა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც არ კვევს იმ პრინციპებს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს გერმან ეროვნული, კულტურული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. რეზოლიუცია ყველაზე მეტს ყურადღებას აქცევს მას, რომ სასოფლო მეურნეობის სვლის მოწყობა მთავარი ფაქტორია გერმანიის ეკონომიური ცხოვრებისა.

**სამთო-სამადნო სოციალიზაცია გერმანიაში**

გერმანიაში სამთო-მადნო მრეწველობის სოციალიზაციის საკითხი მეტად გართულია. ამ ნიადაგზე მუშებსა და ბურჟუაზიას შორის უთანხმოება არსებობს. მთავრობა სოციალიზაციის წინააღმდეგია, მუშები სოციალიზაციას თხოულობენ. დამოუკიდებლები რეიხსტაგში კანონ-პროექტი შეაქვთ სამთო-მადნო კერძო საწარმოების სახელმწიფოზე გადაცემის შესახებ

**ვრანგელი და შეერთ. შტატები**

„ლა კოზ" კომუნ, იუწყება: ადმირალმა ბაკლიინმა ვრანგელის მთავრობის ფინანსთა მინისტრს ნ. ბერნაცკის გამოუცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან სამხრეთ რუსეთის მთავრობას დაეხმარონ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის საქმეში. ბერნაცკის წინადადებით ეცა წარმოადგინოს იმ საქონლის სია, რაც რუსეთს სჭირდება.

**ბურცევი ვრანგელზე.**

ბურცევი წერილში „დემოკრატიისათვის" სწერს: დიდმა სახელმწიფოებმა ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ გარკვევით გადასწყვიტეს ვისთვის შეეწყოთ ხელი—ლენინისა თუ ვრანგელისათვის. საფრანგეთი და ინგლისი უკვე ვრანგელს უჭერს მხარს მხოლოდ იმ პირობით, თუ ვრანგელი დემოკრატიულ იდეებს არ გადაუხვევს. რუს პატრიოტების მდგომარეობა ახლა გაცილებით მტკიცეა.

**სიკვდილი რუსეთში**

რუსეთში ყოველ ათას კაცზე ეხლა კვდება 74.9 კაცი. 1917 კი მხოლოდ 25,4 კაცი კვდებოდა. დაბადებათა რიცხვი 1919 წელში მოდიოდა 13 ყოველ ათას კაცზე, 1917 წელში კი დაბადებულთა რიცხვი 39,4 უდრიდა. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სიკვდილი 6 ჯერ მეტია დაბადებაზე.

**ლ ე ი გ ი**

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლეიგი ხუთშაბათს განთავისუფლებულ ოლქებში მიემგზავრება.

---

# რუსეთი და აზერბეიჯანი

ბაქოს „კომ"-ში გამოქვეყნებულია რადიო მოსკოვიდან შემთხვევით მიღებული ტფილისში შემდეგი შინაარსისა:

„საბჭოთა რუსეთმა და საბჭოთა აზერბეიჯანმა შეჰკრეს სამხედრო და ეკონომიური კავშირი, გაითვალისწინეს რა რომ მხოლოდ ორივე რესპუბლის ყველა ძალთა გაერთიანებით შეიძლება უზრუნველყოფა მძიმე ბრძოლაში მათი გამარჯვების. იმპერიალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. თანახმად შეთანხმებისა ერთდებიან სამხედრო ორგანო და სამხედრო სარდლობა, ორგანოები, რომელნიც საგარეო ვაჭრობას აწარმოებენ. რკ.-საგზაო ტრანსპორტი, ფოსტა, ტელეგრაფი და ტრანსპორტი.

ამ ცნობას ბაქოს „კომ" მხოლოდ ერთი მეთაური უძღვნა სხვა გამოხმაურება პრესაში არ ყოფილა.

---

# ინგლისის პოლიტიკა

ლონდონი. ყოველ კვირეულ გაზეთ „ახალ ევროპაში" მოთავსებულია ჯორჯ გლაზგოს წერილი ინგლისის პოლიტიკური ხაზის შესახებ. წერილში აღნიშნულია: ინგლისის პოლიტიკა შემდეგ საერთო პრინციპებზეა აგებული: ევროპა არის მთლიანი პოლიტიკური არსი. მისი დანაწილება გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპა სავსებით ვერასოდეს ვერ გამომრთელდება, თუ გერმანია და რუსეთი გამორიცხული იქნა ევროპის სახელმწიფოდან. ინგლისი ფიქრობს, რომ საფრანგეთი ეკონომიურად ვერ გაძლიერდება, თუ გერმანია და რუსეთი არ იქნა შეყვანილი ევროპის საერთო სამეურნეო სისტემაში. ბოლშევიზმი ვერ აფრთხობს ინგლისს. ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთთან ზავის დადება საუკეთესო საშუალება იქნება ბოლშევიზმის მოსასპობად და რუსეთში კანონიე-

რების და წესიერების აღსადგენად. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საზავო პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო მეტს შედეგს მოიტანს, ვიდრე სამხედრო პოლიტიკა. ინგლისი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ ევროპაში რაც შეიძლება მალე უნდა დამყარდეს ნამდვილი მშვიდობიანობა. თუ კი ევროპას ცივილიზაციის დაღუპვა არა სურს. მშვიდობიანობის დროს ბოლშევიზმის გავრცელების შიში უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ომიანობის დროსო.

# გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა

გერმანიის ფინანსიური პრესა იუწყება რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. უკანასკნელ დღეების განმავლობაში ვალიუტა თანდათან მაღლა იწევს. ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთის მხრით აიხსნება უცხო ვალიუტის თანხის გადიდებით, რომელიც გერმანიის მთავრობის განკარგულებაში იმყოფება. 1919 წ. 4 უკანასკნელი თვის განმავლობაში გერმანიის მთავრობის განკარგულებაში ყოველ თვიურად უცხო ვალიუტით 700 მილიონ მარკამდის შემოდიოდა. 1920 წლის იანვარში ამ თანხამ 935 მილიონ მარკას მიაღწია, თებერვალში ერთ მილიარდ და 800 მილიონს და მარტში კი სამ მილიონ მარკას. პრესა აღნიშნავს, რომ თუმცა გერმანია ბევრ რამეში დანგრეულია, მაგრამ უცხო ვაჭრობაში იგი სიცოცხლის უნარს იჩენსო. იმუშავებენ ფართო გეგმებს მთელი ქვეყნის ყოველ კუთხეში გერმანიის კომერციულ სააგენტოების მუშაობის შესახებ ზოგი გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანია უცხო ბაზარზე დიდ შედეგს მიაღწევდა, რომ გერმანიის ზოგიერთი ფირმას აესრულებია დადებითი პირობა. პირობათა აუსრულებლობის გამო დაზარალდა ჰოლანდიის და შვეიცარიის მრეწველობა.

# ქრონიკა

### სახელმწიფო ბანკში

სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება იათუმის განყოფილების გახსნისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. ბანკის ბათუმის განყოფილება თავის გახსნის პირველი დღიდანვე შეუდგა აქტიურ და პასიურ ოპერაციების წარმოებას. გახსნას დღეს ბანკის აიძლინარე ანგარიშში შეიტანეს 50 მილიონი მანეთი. ბანკთან დაარსდა გამნაღდებელი და სავალიუტო კომიტეტი. ბათუმის განყოფილება თავის მოღვაწეობას ავრცელებს დასავლეთ იმერეთსა, აფხაზეთსა, გურიასა, სამეგრელოსა და ბათუმის ოლქზე.

### მომარაგების საქმე

მუშათა მაგიდა ამ დღეებში შეუდგება იაფ-ფასიან ნავთის დარიგებას. პირველად მიიღებენ დაწესებულებები, რომელთაც ნავთის ორდერები აქვთ. დანარჩენი მუშები და მოსამსახურეები ნავთს ჯგუფობით მიიღებენ. ნავთი „პეტროლის“ საწყობიდან 70 მანეთად მიეცემათ.

### სახელმწიფოს შემოსავალი.

მიწადმოქმედების სამინისტრომ სახელმწიფო მამულების მმართველს, ტყის გამგის და საიჯარო განყოფილების უფროსს გაუგზავნა ცირკულიარი, სადაც აღნიშნულია რომ მიუხედავად პირობების შეცვლისა ზოგიერთი იჯარით გაცემული სახაზინო მამული მოიჯარადრეებს იმავე ფასში აქვთ, რა ფასსაც წინედ იხდიდნენ, რისგამოც ხაზინას დიდი ზარალი მოსდისო. ცირკულიარში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მოიჯარადრეები ამ მამულიდან დიდ შემოსავალს იღებენ და მათ თავისუფლად შეუძლიანთ ხაზინის მეტი გადასახადი მისცენო. სამინისტრო წინადადებას აძლევს მათ გადაათვასონ საიჯარო ადგილები. ეს მუშაობა დეკემბრის 15 უნდა დასრულდეს.

### სომეხთა ეკლესია საქართველოში.

სომეხთა ეროვნულ საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა სასწრაფოდ, შეიმუშავოს კანონ-პროექტი საქართველოში სომეხთა ეკლესიის მდგომარეობის შესახებ.

### შტატების შემცირება რკინის გზაზე

მთავრობამ გზათა უწყების დეპარტამენტს მიანიჭა უფლება, რომ მან რკინის გზებზე შტატების ნაწილობრივი შემცირება მოახდინოს. სალიკვიდაციო ფული რკინის გზის საოპერაციო თანხიდან უნდა იქმნას გადახდილი.

### კონტროლი მრეწველობაზე

თბილისის გუბერნიის შრომის კომისარმა აუწყა ქალაქის შრომის ბირჟას, რომ კონტროლი მრეწველობაზე იმ მიზნით რომ იქ არ ღებულობდნენ მოსამსახურეებს გარეშე შრომის ბირჟისა, შეიძლება დაწესდეს პროფესიონალურ კავშირისა და საფაბრიკო კომიტეტის საშუალებით.

### შრომის სამინისტროში.

შრომის სამინისტრო იმუშავებს ადგილობრივი შრომის ბირჟის ცენტრალურ ბირჟის და მის ფილიალურ განყოფილებების ნორმალურ წესდება.

### ქ უ თ ა ი ს შ ი

ქუთაისის ბაზარზე გასულ კვირაში სიმინდი ფასობდა 1400 მანეთიდან—1450 მანეთამდის, ყურძენი—1200 მან. 1300 მანეთამდის.

— ხშირი წვიმების გამო სოფლად ქერინახულის შენახვა ძნელდება, რის გამოც ქერინახულიც ფუჭდება.

# ქართული დრამა.

„დარისპანის გასაჭირი“ 1 მოქ. „ირინეს ბედნიერება“ 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

28 ოქტომბერს, ქართულ დრამის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქმნა „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ დავით კლდიაშვილისა.

ორივე პიესა დამაგრებულია ეტნოგრაფიული ხაზებით. რომელთა გამართვაშიც ძლიერია ფანტასტიური იმერეთის დიდი ოსტატი დავით კლდიაშვილი.

ქართული თეატრი ჯერ კიდევ პრიმიტიული გზებით მიდის.

უწყინარი პიესებით კიდევ ერთობა ქართველი საზოგადოება.

ხოლო ამისთვის არც ქართველ არტისტს დასჭირდება დიდი რევოლუციები. ამ შემთხვევაში ქართულ თეატრსა და საზოგადოების შორის დამაშორებელი მანძილი დიდი არ არის.

ამ გარემოების გათვალისწინებით თავის ადაგას იყვნენ: ბ. ბ. არაბიძე, ზარდალიშვილი და ქ. ციმაკურიძე მეორე პიესა უფრო მეტად იყო გამართული.

კარგები იყვნენ: ქ. შოთაძე, ბ. ვასაძე, კორიშელი და ჯიქია.

1-ლ მოქმედებაში მეტ ეგზოტიურობას ჰქმნიდა დიდი, ბოტანიკურ ბაღის ვარდის ბუჩქები, აყვავებული ფილიპეს კარზე.

არქანჯელო ლამბერტი

# სოფლის მეურნეობა

### მეღვინეთა საბჭო.

მიწათ მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა მეღვინეთა მევენახეთა საბჭომ პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს ღვინის ფასების და მისი ყიდვა გაყიდვის საკითხები: ეს საკითხები უნდა გადაწყდეს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით. აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება მეღვინეთა და მევენახეთა ბიურო.

### მიწები მოსამსახურეებს.

მიწად მოქ. სამინისტრომ აღძრა საკითხი რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებს ქალაქის ფარგლებში მიეცეთ თავისუფალი მიწები პირადი შრომით დასამუშავებლად. ეს მიწები დამუშავდება სამსახურის შემდეგ და უქმე დღეებში. მიწად მოქმედების სამინისტროს მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობა უკვე შეუდგა მიწის დამუშავების მსურველ მოსამსახურეთა სიის შედგენას.

### სატყეო განყოფილებაში.

საბჭოთა რუსეთიდან მიწად მოქ. სამინისტროს გამოწვევით თბილისს ჩამოვიდა სატყეო საქმის მცოდნე ს. ბაქრაძე, ბაქრაძე სამინისტროს სატყეო განყოფილებაში უკვე დაინიშნა.

# წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი [illegible] მადლობა გამოუცხადოთ დამფუძნებელ კრების წევრს შალვა ქარუმიძეს და იასებ მათურელს, რომლებმაც შემოსწირეს ახალქალაქის განყოფილების ეროვნული პარტიის ორგანიზაციისთვის, პირველმა 5.000 მან. და მეორემ 2.000 მან.

განყოფილების გამგეობა

# ღია წერილი.

## მეორე ათასეულის უფროსს.

ბ. პოლკოვნიკო!

შეწუხებული სოფლის მუშაკნი, ღარიბნი ღარიბი ცოლქმარნი ტიტვლებნი ჩამოიჭრენ სოფლიდან თბილისში ჩემთან და მომმართეს გამეგო, თუ მართლა მძიმე ავადმყოფია მათი შვილი სანდრო ტიტვინიძე-თქვენდამი რწმუნებულ პოლკის ჯარის კაცი, და სად იმყოფება იგი ამ ჟამად, სოხუმის სამხედრო ლაზარეთში თუ სხვაგანო?

ამ მიზნით მე თქვენ აგერ ორ კვირაზე მეტია საპასუხო დეპეშით მოგმართეთ და თქვენ კი არავითარ პასუხს არ იძლევით! რას მივაწეროთ ეს? უყურადღებობას თუ დაუდევრობას?

სამხედრო სკოლის ექიმი

მ. იმხნელი.

# კორესპონდენცია

## დუშეთის მაზრის ერობა.

### როდის დაიწყო მოქმედება:

დუშეთის მაზრის ერობამ მოქმედება დაიწყო 1919 წლის თებერვლიდან. 25 ხმოსანში 20 სოც.-დემოკრატია და 5 ფედერალისტი. ამ რიგათ გამგეობაში 4 სოც. დემ. და ერთი ფედერალისტი. სამაზრო ერობის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქმნა ბ. დ. ჭონიშვილი და გამგეობის წევრები სოც. დემ. მხრივ ბ. ბ. ჩიმაკაძე, გრ. ფარნიევი და ან. სულიაშვილი, ფედერალისტების მხრივ კი 1919 წ. ნოემბრიდან ივანე გარსევანიშვილი. უნდა ითქვას, რომ პირველ დასაწყისში ერობის გამგეობა მართლა ენერგიულად შეუდგა საქმის ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ გამგეობის შორის მალე იჩინა თავი კინკლაობამ და მათში უთანხმოებაც ჩამოვარდა, რის გამოც საზოგადო საქმეები იჩრდილებოდა და უკან-უკან მიდიოდა.

ამ უსაქმურ გამგეობას მალე ბოლო ალორ გამგეობის წევრმა თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჩიმაკაძემ, მევრი ებრძოლა ბ. ჭონიშვილს, მაგრამ ბოლოს არჩია ისევ თვითონ დასცლოდა დუშეთის ერობას და ამით დაეფარა თავი მომავალ პასუხისმგებლობიდან, რაც ადვილი მოსალოდნელი იყო თავმჯდომარის ბ. ჭონიშვილის უკანონო მოქმედებით. სოც. დემ. სამაზრო კომიტეტმაც დაიწყო ხელების ფათური ერობის გამგეობის მოქმედებაში ასე, რომ რასაც კომიტეტი უბრძანებდა გამგეობას ის უნდა შეესრულებინა. ერთ მშვენიერ დღეს ს. დ. სამაზრო კომიტეტი იმდენათ გაკადნიერდა, რომ ერობის გამგეობას თვით გაუნაწილა დარგები და ამ მოუფიქრებელი მოქმედებით გამგეობის წევრებს შორის ისე დანაწილდა დარგები, რომ დოხტარს დაემსგავსა, სადაც სპეციალობას არის მქონ და ადგილი და ერობის გამგეობა სრულ უმოქმედობამდი მივიდა, ვინაითგან ყოველი მათგანი ჩამოაშორეს შეთვისებულ დარგს და სხვა უცნობი დარგები მოხვდეს. ეს უმგვანო საქციელი მოაწყეს ერობის ბუხგალტერმა ცეცხლაძემ, ერობის თავმჯდომარემ ჭონიშვილმა, ს. დ. პარტიის საპასუხისმგებლო პროპაგანდისტმა კალანდარიშვილმა, დუშეთის ფოსტის უფროსმა ფარესიშვილმა და კიდევ ამ ჯგუფის რამდენიმე კაცუნებმა რომელთაც შესცვალეს უწინდელი კომიტეტის შემადგენლობა და ერთიანი ძალღონით შეუდგნენ ერობის საქმეებს ასეთი პირები ბ. გრ. ფარნიევი და ან. სულიაშვილი და სხვანი რომელნიც სინდისიერ მოქმედებას უფრო მისდევდნენ, ვიდრე პარტიულ ჟინიანობას. რასაკვირველია, რომ ამათთანა ადამიანები არ მოეწონებოდა ხელოვნურად შექმნილ მათ წინააღმდეგ სამაზრო კომიტეტის შემადგენლობას, ვინაიდან ისინი სამაზრო კომიტეტის ერობის საქმეებში ჩარევას უკანონოთ სთვლიდნენ. ეს ორი გამგეობის წევრი და მათთან ფედერალისტების მხრივ გარსევანიშვილი ერობის თავმჯდომარეს ჭონიშვილს ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მიერ წამოყენებულ უკანონო მოთხოვნილებებს, რასაკვირველია კომიტეტისაგან ნაკარნახევს, რის გამოც ჭონიშვილი ყოველთვის მარტო რჩებოდა; რამაც აიძულა ის უფრო ენერგიულად ემოქმედა, მოწინააღმდეგეთა გასადევნად. ჭონიშვილთან ერთად კომიტეტი შეუდგა ათასგვარ ბრალდების წამოყენების ფარნიევის წინააღმდეგ, რომელიც ამ წლის მაისის პირველებში სამაზრო კომიტეტიდან დაითხოვეს და წინადადება მისცეს, რომ ფარნიევი გამგეობის წევრობიდან გასულიყო. მკითხველი ნათლად დაინახავს კომიტეტის გადაჭარბებულ მოქმედებას, რომელიც სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობას არავითარ ანგარიშს არ უწევს და მის მიერ საპასუხისმგებლოდ არჩეულს წევრს მისდა დაუკითხავად ითხოვს. ყველა ამ უმგვანო საქციელთან ისიც მოაწყეს, რომ ფარნიევს გაუტეხეს ერობაში საკუთარი მაგიდის უჯრა და დოკუმენტები მოჰპარეს, ამასთან ერთად რამდენიმე ათასი თუმნის ქაღალდებიც, რაც დამტკიცდა შემდეგ პარტიულ სასამართლოს მიერ დუშეთში, რომლის წევრებათაც იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრნი ბ. ახმეტელაშვილი, ბადრიძე და დ. ჩხეიძე. სხვათა შორის ერთ გასამტყუნარ საბუთათ ჭონიშვილის ჯგუფმა ცეცხლაძის პირით სასამართლოს წევრებს განუცხადა, რომ „ფარნიევს იმისთანა პირებთან ჰქონდა დამოკიდებულება, რომელნიც ერობისა და სახელმწიფოს მტრები არიანო“ და როდესაც შეეკითხნენ ცეცხლაძეს თუ ვინ არიან აღნიშნული პირნი მან უზრდელად და რიხიანად განაცხადა „მაზრის გამომძიებელი მ. ხერხეულიძე და მაზრის აგრონომი რ. გედევანიშვილიო“. თავის თავად ცხადია, რომ ფარნიევს თურმე სხვა პარტიის წევრებთან ლაპარაკიც კი აკრძალული ჰქონია, თურმე ამ ვაჟბატონების წრით ორი პასუხის მგებელი მოხელე სახელმწიფოს მტრები ყოფილან და მაინც მსახურობენ. რა საკვირველია ბ. ცეცხლაძეს არ მოეწონებოდა ფარნიევის დამოკიდებულება ორ ინტელიგენტ მოხელესთან. რომლებთანაც ბ. ფარნიევი პოულობდა სულიერ-ადამიანურ დამოკიდებულებას. შედეგათ ამ სასამართლოს მოჰყვა ის რომ ბ. გრ. ფარნიევი ყოველ გვარ საქმეში გაამართლეს და მისი მოწინააღმდეგე ჯგუფი ჭონიშვილის და ცეცხლაძე-კალანდარიშვილის მეთაურობით გაამტყუნეს,

ამ რიგად ზნეობრივად დაკმაყოფილებულმა ფარნიევმა ერობის გამგეობის წევრობას თავი დაანება წარსულ ივლისში და დუშეთის ერობას „გაშორდა, რომელსაც მიჰყვა თან ყოვლად სინდისიერი და ყველასათვის პატივსაცემი გამგეობის წევრი ბ. ანდრო სულიაშვილი, რომელთა შემდეგაც ბურთი და მოედანი დარჩა ჭონიშვილსა და მის პატრონან ჯგუფს. ამგვარ უკანონობის ჩადენისათვის ბ. დ. ჭონიშვილი სენატორმა რონიაშვილმა სამართალში მისცა, რომელმაც წინადადება მისცა სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობას ჭონიშვილი, როგორც პასუხის გებაში მიცემული გადაეყენებიათ, მაგრამ ხმოსანთა შორისაც ბევრი აღმოჩნდნენ ჭონიშვილის თაყვანისმცემელნი, რომელთაგანაც ჭონიშვილის მიერ ბევრს თბილი ადგილები უჭირავთ და რა საკვირველია, რომ ჭონიშვილის აგრე ადვილათ ვერ დასთმობდნენ. შეიქმნა ერთი ორომ ტრიალი და ხმოსანთა შორის დაიწყეს მსჯელობა იმას შესახებ თუ სენატორი რონიაშვილი რამდენათ კანონიერათ იქცევა, როდესაც მოითხოვა ჭონიშვილის გადაყენებას. თითქმის სენატორი სულ უვიცათ დასახეს და თითონ ბ. რონიაშვილს დაუპირეს სამართალში მიცემა მის უკანონო მოთხოვნილებისა გამო და დადგინეს „ვინაიდან ერობის თავმჯდომარე დ. ჭონიშვილმა დღიდან მისი დუშეთის მაზრაში მოსვლისა დუშეთის მაზრა შვეიცარიათ გადააქცია და მის მოქმედებაში ხმოსანთა ყრილობა ვერავითარ ბოროტ-მოქმედებას ვერა ჰხედავს. ამისთვის წარედგინოს მთავრობას მათი მოთხოვნილება, რომ ჭონიშვილი კვლავ თავმჯდომარედ იყოს დატოვებული“-ო. ასეც მოიქცნენ და დღესაც ჭონიშვილი სასამართლოს მიერ სამართალში მიცემული არხეინათ განაგებს დუშეთის მაზრის ბედ-იღბალს. ეს ამბავი უზომოთ აკვირვებს ყოველ შეგნებულს მცხოვრებს დუშეთის მაზრისას, რომლითაც ჰხედავენ ერთდაგვარ კანონის არ ქონას საქართველოს რესპუბლიკაში, ვინაიდან თურმე კანონი სულ სხვა ყოფილა და კანონის გამტარებელნი კი არავინ არის, რომ თითქმის ასე ბ. სენატორი რონიაშვილი მოიქცა კანონიერად, დაინახა, რა მან ასეთი უკანონო საქციელი ხმოსანთა ყრილობისა, რომელიც სალათას ძილს მიეცა და თვისი კანონიერი დადგენილება სისრულეში ვერ მოიყვანა რომელსაც ყოველ შემთხვევაში პროტესტის ხასიათი შეეძლო დაეცვა თავისი უფლებები და თუ ეს არ გაუვიდოდა სხვა ზომისათვისაც შეეძლო მიემართა. ხალხში ერთდაგვარი უკმაყოფილება გამეფდა, რომლის თვალშიც კანონმდებლობაც ჰკარგავს თავის ძალას ჭონიშვილის საქციელის გამო. ნუთუ კანონი ერთი არ უნდა იყოს ყველასათვის დემოკრატიულ რესპუბლიკაში! რა უყოთ, რომ ბ. ჭონიშვილი ერობის თავმჯდომარეა. ნუ თუ ჭონიშვილი ისეთი სადიგონების პატრონია, რომ მას ნებსით თუ უნებურად არ შეეძლო რამე კანონის საწინააღმდეგო ჩადენა!? მით უმეტეს, რომ ჭონიშვილი დაჩვეულია სხვის გავლენის ქვეშ სიარულს და მით უმეტეს მაშინ როდესაც მას სულ გვერდითა ჰყავს ისეთი მრჩეველი, როგორიც არის ერობის ბუხჰალტერი ცეცხლაძე. ჭონიშვილი და ცეცხლაძე ეს ორი განუყრელი არსებანი არიან, რომელნიც ერთად სცხოვრობენ ბინაზე, ერთად მსახურობენ ერობაში, ერთად მიდიან—ერთად მოდიან, ერთიან პოლიტიკას აწარმოებენ. ერთის სიტყვით სულ ერთად არიან ტყუპებივით შეთვისებულნი ღამე-დღე-დილა-სადამოთი სადილ-ჩაი-ვახშამზე და ყველგან ყველა დროს—სულ ერთად არიან.

ჭონიშვილი სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბრძანდება და ცეცხლაძე—კიდევ ამავე ერობის მთავარი ბუხჰალტერი, მე ვეკითხები ყველას ვისაც-კი კანონიერება სწამს, თუ რამდენათ კანონიერია და მოსახერხებელი დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომ ერობის თავმჯდომარე და ერობის მთავარი ბუხჰალტერი ერთად სცხოვრობდნენ? ეს ხომ უსათუოთ ეჭვსა ჰბადებს ხალხის თვალში და მართალიც არის. სად გაგონილა, რომ ორი თანამდებობის კარი ვისაც ორდერები აბარია და ვინც ამ ორდერებზე ხელს აწერს ერთად სცხოვრობდნენ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**დუშეთის მაზრელი.**

---

## კორესპონდენტებს და თანამშრომლებს

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოთ გაზეთი

კორესპონდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

---

# საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

## არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, **14** ნოემბერს დილის 11 საათზე,

პალატის ბინაზე (ერევნულ საბჭოს ქუჩა № 11).

**განსახილველი საგნები:**

1. თბილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა კავშირის თხოვნა,
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა სამაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს 6 ნახევ. საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

---

# მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს

მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

## „მწყემს“.

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესავსებლად (ფონდი) ერთი მეათედი . . . . . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, . . . . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, . . . . . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

**მომარაგების სამინისტრო.**

---

# მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

**თბილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმამდის | № 3 | 10. ს. 58 წ. დილ. |
| ბათუმში ჩადის | | 7 ს. 27 წ. დილ. |
| ფოთამდის | № 9 | 5. ს. 34 წ. დილით. |
| ფოთში ჩადის | | 10 ს. 45 წ. დილ. |
| ბათუმამდის ჩქარი | № 7 | 10. ს. 28 წ. საღ. |
| ბათუმში ჩადის | | 5 ს. 52 წ. საღ. |
| ბორჯომამდის | № 19 | 3. ს. 19 წ. დღ. |
| ბორჯომში ჩადის | | 11 ს. 25 წ. დღ. |
| სალ-ოღლამდის | | 7 ს. 20 წ. დილ. |
| ხანაინამდის | № 4 | 8. დილ. |
| ხანაინში ჩადის | | 5 ს. საღ. |
| კახეთისკენ | | 8 ს. 30 წ. დილ. |

**თბილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ფოთიდან | № 10 | 3. ს. 51 წ. |
| თფილისში მოდის | | 9 ს. 16 წ. დღ. |
| ბათუმიდან | № 4 | 4. ს. 9 წ. დილ. |
| თფილისში მოდის | | 1 ს. 1 წ. დღ. |
| ბათუმიდან | № 8 | 11 ს. 37 წ. ღამ. |
| თფილისში მოდის | | 7 ს. 36 წ. ღამ. |
| ბორჯომიდან | № 20 | 12 ს. 22 წ. ღამ |
| თფილისში მოდის | | 7. ს. 47 წ. დილ. |
| სალ-ოღლიდან | | 12 ს. 10 წ. დილ. |
| ხანაინიდან | № 4 | 7 ს. 30 წ. დილ. |
| თბილისში მოდ. | | 3 ს. 20 წ. დილ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ. | | 8 ს. 20 წ. ს. |

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.